## საერთაშორისო ურთიერთობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON, MEVLANA და სხვა).

### ERASMUS+ ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW) (ავსტრია)
- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია)
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)
- მიდლსექსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი (ესტონეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- დიჯლეს უნივერსიტეტი (თურქეთი)
- პიზის უნივერსიტეტი (იტალია)
- სასარის უნივერსიტეტი (იტალია)
- პავიის უნივერსიტეტი (იტალია)
- პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია)
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია)
- ლიეტუვას ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პოვისლანსკის კოლეჯი კვიძინში (პოლონეთი)
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- კოიმბრის უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- კრაიოვას მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- იულიუ ჰაციეგანუს მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- ტულუზის პოლ საბატიეს სახელობის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- პარიზის ვალ–დე–მარნის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტის ნიტრაში (სლოვაკეთი)
- დებრეცენის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია)
- ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)



## საკონტაქტო ინფორმაცია


თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №108

(+995 32) 254 24 07


PER TRADITIONES AD FUTURUM

# საექთნო საქმის და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამები

tsmu.edu

# ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები

**საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა**
სწავლის წლიური ღირებულება -1500 ლარი

**სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა**
სწავლის წლიური ღირებულება - 1500 ლარი

საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფს ჯანდაცვის სისტემაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რგოლის - საექთნო და სამეანო საქმის ბაკალავრის მომზადებას.

სტუდენტების კლინიკური სწავლება მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებსა და სხვადასხვა პროფილის აფილირებულ დაწესებულებებში.

პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია, კურსდამთავრებულს მიენიჭება საექთნო საქმის და სამეანო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, ან დასაქმდეს კომპეტენციის ფარგლებში.

ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა - AZW (ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საექთნო საქმის ბაკალავრის ქართულ-ავსტრიული პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში.

# კარიერული სქემა

